

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №116

2013 წლის 17 მაისი

ქ. თბილისი

„საწყობისა და თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის საქმიანობის ნებართვების გაცემის წესების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 5 იანვრის №9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საწყობისა და თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის საქმიანობის ნებართვების გაცემის წესების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 5 იანვრის №9 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 11/01/2011, 240090000.10.003.016164) შეტანილ იქნეს ცვლილება და ამ დადგენილებით დამტკიცებული ინსტრუქციის მე-7 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ვ“-„ი“ ქვეპუნქტები:

„ვ) საგადასახადო ორგანოს მოთხოვნის შემთხვევაში, საგადასახადო ორგანოს უსასყიდლოდ გამოუყოს კონტროლის პროცედურებისათვის აუცილებელი სათავსო, მოწყობილობები და კავშირგაბმულობის საშუალებები;

ზ) საწყობის შესასვლელი და გასასვლელი, აგრეთვე საწყობის ტერიტორიაზე არსებული სათავსო (სათავსოში განთავსებული სათავსების გარდა) აღჭურვოს შესასვლელისა და გასასვლელის გამოსახულების ვიდეოჩამწერი საშუალებებით. გამოსახულების ჩამწერი საშუალებებით უწყვეტად უნდა ფიქსირდებოდეს (უნდა იძლეოდეს ზუსტი იდენტიფიცირების საშუალებას დღეღამის განმავლობაში და ჩანაწერის გარჩევადობა უნდა იყოს არანაკლებ 3 მეგაპიქსელი (2048X1536 QXGA), არანაკლებ 5 კადრი წამში) ნებართვის მფლობელის მიერ სათავსოსათვის მინიჭებული ნომერი, სათავსოს შესასვლელი ან/და გასასვლელი, იმ სატრანსპორტო საშუალების სარეგისტრაციო ნომერი (სანომრე ნიშანი), რომლითაც გადაიზიდება კონტროლს დაქვემდებარებული საქონელი. ნავთობის მსუბუქი, საშუალო და მძიმე დისტილატების შენახვისათვის განკუთვნილი საწყობის შემთხვევაში გამოსახულების ჩამწერი საშუალებებით უნდა ფიქსირდებოდეს მხოლოდ საწყობის შესასვლელსა ან/და გასასვლელში გადაადგილებული სატრანსპორტო საშუალების სარეგისტრაციო ნომერი;

თ) საწყობის ტერიტორიაზე საქონლის დათვალიერების, სინჯის ან/და ნიმუშის აღების განხორციელების, გადატვირთვის ოპერაციების (ერთი სატრანსპორტო საშუალებიდან მეორე სატრანსპორტო საშუალებაში) განხორციელების ადგილი აღჭურვოს აღნიშნული პროცედურების გამოსახულების ვიდეოჩამწერი საშუალებებით;

ი) ამ მუხლის „ზ“ და „თ“ ქვეპუნქტების შესაბამისად განხორციელებული ვიდეოჩანაწერები შეინახოს „avi“ ფორმატის ფაილებში, არანაკლებ 2 წლის განმავლობაში და მოთხოვნისამებრ წარუდგინოს ისინი საგადასახადო ორგანოს. მონაცემების (ინფორმაციის) ამოღება შესაძლებელი უნდა იყოს DVD, HDD, USB ან Ethernet ინტერფეისით. ვიდეოჩანაწერები უნდა ინახებოდეს იმგვარად, რომ შესაძლებელი იყოს კონკრეტული თარიღის ან/და კონკრეტული საათის შესაბამისი ვიდეოჩანაწერის ნახვა. თუ ტექნიკური ან სხვა მიზეზის გამო შეუძლებელია ვიდეოჩანაწერის განხორციელება, ნებართვის მფლობელმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს საგადასახადო ორგანოს აღნიშნულის შესახებ და იმოქმედოს მისი მითითების შესაბამისად.“.

მუხლი 2

საწყობის საქმიანობის ნებართვის მფლობელებმა, რომლებსაც ნებართვა მიღებული აქვთ ამ დადგენილების ამოქმედებამდე, დადგენილების ამოქმედებიდან 2 თვის განმავლობაში უზრუნველყონ ამ დადგენილების პირველი მუხლით გათვალისწინებული პირობების შესრულება, ხოლო ნებართვის მამიებლებზე აღნიშნული პირობები გავრცელდება ამ დადგენილების ამოქმედებიდან.

მუხლი 3

ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

